პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 225 (5515)
13 ნოემბერი, 1975 წ.
ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ნ. გაფრინდაშვილ — ნ. ალექსანდრიას მატჩი მსოფლიო პირველობაზე

მერვე პარტია

სკანდინავიური დაცვა

ალექსანდრია — გაფრინდაშვილი

ბიჭვინთა, 11 ნოემბერი.

1. e4 d5 2. ed მf6 3. კb5+ კd7 4. კc4 კg4 5. f3 კf5 6. g4 კc8 7. მc3 a6 8. g5 b5 9. კb3 მfd7 10. d4 მb6 11. მge2 b4 12. მa4 მ:d5 13. ლd3 e6 14. კd2 კe7 15. h4 მd7 16. 0—0—0 კb7 17. ეdg1 0—0 18. h5 f5 19. მf4 მ:f4 20. კ:f4 კd5 21. კ:d5 ed 22. ლe2 კd6 23. ლe6+ მფh8 24. კ:d6 cd 25. ლ:d6 ეc8 26. h6 ეg8 27. ლ:d5 ლc7 28. hg+ ე:g7 29. ლ:f5 ეf8 30. ლe4 ლf4+ 31. ლ:f4 ე:f4 32. მc5 მ:c5 33. dc ეf5 34. g6 h5 35. ეh4 ე:c5 36. ე:b4 ეgc7 37. c3 მფg7 38. ეb6 a5 39. f4 h4 40. ეe6 ეf5 პარტია გადაიდო.

• • •

ამ შეხვედრის ბედი დებიუტშივე გადაწყდა.

მსოფლიო პირველობაზე მატჩებისთვის დამახასიათებელია პრინციპული სადებიუტო დუელი, როცა მეტოქენი გარკვეული სისტემის ან ვარიანტის ღირსების ირგვლივ დავობენ. ჩვენი მოჭადრაკე ქალები თითქმის ყველა პარტიას სხვადასხვანაირად იწყებდნენ, რაც მათს კარგ მომზადებასა და ერუდიციაზე მეტყველებს. მაგრამ მაინც ველოდით პრინციპულ პაექრობას სკანდინავიურ დაცვაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონმა შავებით ზედიზედ ორჯერ გამოიყენა. მოლოდინი გამართლდა.

IV პარტიაში სკანდინავიურმა დაცვამ გაფრინდაშვილს ვერ მოუტანა სასურველი პოზიცია. უპირატესობა ალექსანდრიამ მიიღო. VI პარტიაში მსოფლიო ჩემპიონმა გააუმჯობესა ვარიანტი და პაიკის ფასად ხანგრძლივად დაეუფლა ინიციატივას. ამ პარტიის კომენტარში აღვნიშნავდით, რომ ალექსანდრიას მე-6 სვლა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ თეთრები მეფეზე იერიშს მიიტანენ, მაშინ მათი დაწინაურებული პაიკი დროის დაუკარგავად ბრძოლაში მიიღებს მონაწილეობას.

სწორედ ასეთი აზრი უდევს საფუძვლად ალექსანდრიას მე-8 სვლას. მხედარზე თავდასხმით მან დრო მოიგო თავისი ფიგურების სწრაფი მობილიზებისთვის. ვიდრე გაფრინდაშვილმა მე-2 სვლაზე დროებით შეწირული პაიკი უკან დაიბრუნა, ალექსანდრიამ საიერიშო პოზიცია ააგო და დაწინაურებული პაიკი ძალად იქცა. უკვე მე-17 სვლაზე ნანას უდავო უპირატესობა ჰქონდა.

ბუნებრივია ვიკითხოთ: ნუთუ პრეტენდენტის ახალი სვლა და გეგმა ასეთი მომაკვდინებელი იყო, რომ შავებს არ შეეძლოთ თამაშის გათანაბრება?

არა გვგონია, მაგრამ ამის დადგენა მეტოქეთა საქმეა და ჩვენ, კიდეც რომ ვიცოდეთ, უფლება არა გვაქვს მათს პაექრობაში ჩავერიოთ.

მე-18 სვლამ რეალურად აქცია ალექსანდრიას იერიში. გაფრინდაშვილს არ აღმოაჩნდა კონტრთამაშის შესაძლებლობა, ლაზიერის ფრთაზეც პრეტენდენტის ფიგურები იყვნენ გაბატონებული. სიძნელეებისგან მსოფლიო ჩემპიონი ვერც საპასუხო სვლამ იხსნა. ალექსანდრია ლაზიერით შეიჭრა შავების განლაგებაში და ორი პაიკი მოიგო.

მერე თამაში ენდშპილში გაგრძელდა და გადაიდო ალექსანდრიას დიდი მატერიალური უპირატესობით. შეწყვეტილ პოზიციაში სვლა მან ჩაიწერა.

თ. გიორგაძე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ბიჭვინთის საკურორტო დარბაზი, სადაც მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა; პარტიების დემონსტრატორები — ოსტატობის კანდიდატები გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) და თ. ხანთაძე (თბილისი); აფიშები და სალარო.

მ. ზარგარიანის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).



КАССА
ШАХМАТЫ
МАТЧ НА ПЕРВЕНСТВО МИРА
Н. ГАПРИНДАШВИЛИ Н. АЛЕКСАНДРИЯ

ბუშის...

მსოფლიო ჩემპიონმა თამაშის განუახლებლად დათმო VIII პარტია.

ამრიგად, დამთავრდა მატჩის ბიჭვინთის ნახევარი. ანგარიშია 5,5:2,5 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

მატჩის მეორე ნახევარს მეტოქენი თბილისში განაგრძობენ. IX პარტია 18 ნოემბერს გაიმართება.

ტურისტების თოვლიანი ბილიკები

გორკის საწარმოების — სალარავი ჩარხების ქარხნის, „კრასნაია ეტნას" და „დვიგატელ რევოლუციის" მუშა-მოსამსახურენი ჯანმრთელობის მორიგი მატარებლით ქალაქგარეთ გაემგზავრნენ.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ბორცვიდან დაშვება... სამოვრით.

საქპესი მოვლენები

ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

მოტოციკლებით უდაბნოში

ლიტველმა ტურისტებმა დაამთავრეს მოტოციკლებით მოგზაურობა ყიზილყუმისა და ყარაყუმის უდაბნოებში. ლიტვის ჟურნალ „ნაში სადის" მუშაკმა, სპორტის ოსტატმა ა. ჩაპაუსკასმა, შიაულიაის სამშენებლო ტრესტის ელექტრიკოსმა ბ. ვენგრისმა, კაუნასის ტურისტთა კლუბის შოფერმა ვ. პეტრაუსკასმა და ვილნიუსის ტაქსომოტორების პარკის შოფერმა ვ. იანკაუსკასმა რთული მარშრუტი დუშანბეში დაიწყეს. შემდეგ მათ გაიარეს თერმეზი, სამარყანდი, ბუხარა, ნავოი, ნუკუსი, ურგენჩი, ხივა, ტაშაუზი, მარი, აშხაბადი, ნებიტ-დაღი და მოგზაურობა კრასნოვოდსკში დაამთავრეს.

— მოგზაურობა იოლი არ იყო, — გვიამბობს ჯგუფის ხელმძღვანელი ჩაპაუსკასი. — ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა... ძლიერი სიცივე ყარაყუმში, ხოლო ტაშაუზიდან მარიმდე — ქარიშხალი. ჩვენს მოტოციკლებს უჭირდათ ქვიშის გორაკების დაძლევა. საშუალო სიჩქარე საათში 12 კილომეტრს უდრიდა. ჩვენი მოგზაურობის მიზანი იყო შეგვემოწმებინა, შეიძლება თუ არა უდაბნოს გავლა მოტოციკლებით, დაგვედგინა, რა პრობლემები დგება მოტოტურისტების წინაშე. ვფიქრობთ, შეიძლება ითქვას, რომ მიზანს მივაღწიეთ.

ვ. მირზოიანი.

აშხაბადი.

გმირი კომკავშირელის ხსოვნას მიეძღვნა

კიშინიოვში ყოველ წელიწადს ტარდება მოზარდთა და ახალგაზრდობის საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ეს შეჯიბრება ეძღვნება მოლდაველ კომკავშირელს ნიკოლოზ გრიბოვს, რომელმაც თავისი სიცოცხლის ფასად იხსნა ხანძრისგან ყამირის მოსავალი.

250 მოჭიდავე სამი დღის განმავლობაში იბრძოდა გმირის სახელობის საპატიო პრიზისთვის. გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნ. კულბერტინოვი და ვ. კერემიასოვი (ორივე — იაკუტსკი), ხმელნიცკელი ს. ბერეზოვსკი და ყარაგანდელი ვ. პანინი.

კიშინიოვი.

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 12 ნოემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 43-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო" — 5, 8, 19, 23, 38, 47;

„სპორტლოტო-2" — 3, 4, 7, 19, 21, 39.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

• •

დაჯილდოება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაბადების 50 წელთან დაკავშირებით და სპორტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტის გამოყენებითი სახეობების განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი დ. კაპცოვი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ძალოსნები

გუშინწინ არხანგელსკში გაიმართა გდრ-ისა და რსფსრ-ს ძალოსანთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:3.

გულშემატკივრები გაახარა მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ვ. ალექსეევმა, რომელმაც თავისი 73-ე და 74-ე მსოფლიო რეკორდები დაამყარა. ალექსეევმა აჰკრა 246 კგ, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდზე ნახევარი კილოგრამით მეტია, ხოლო ორჭიდის ჯამში 430 კილოგრამის დაგროვებით 2,5 კილოგრამით დაამძიმა თავისივე მსოფლიო რეკორდი. საინტერესოა, რომ ორივე წინანდელი მიღწევა ალექსეევმა მოსკოვის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატში დაამყარა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ანდრეევმა (ჩელიაბინსკი) — 215 კგ, ფ. ნოსკოვმა (პერმი) — 205, ს. მინინმა (ყაზანი) — 232,5, ი. ტვეროვსკიმ (ომსკი) — 285, ვ. პიუბნერმა — 290, ქ. ვენცელმა (ორივე — გდრ) — 325, ვ. კონონოვმა (ნოვოკუიბიშევსკი) — 337,5, ი. ციცკემ (გდრ) — 370 და ვ. ალექსეევმა (შახტი) — 430.

დიდი მიზნის სამსახურში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 ივნისის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ" უმაღლესი სასწავლებლების წინაშე მეტად მნიშვნელოვან ამოცანებს აყენებს.

ლ. ბრეჟნევმა სტუდენტთა საკავშირო შეკრებაზე თქვა: „საბჭოთა სპეციალისტი დღეს — ეს არის ადამიანი, რომელმაც კარგად დაითვისა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, ნათლად ხედავს პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებს, აქვს ფართო მეცნიერული და პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად ფლობს თავის სპეციალობას".

ასეთი მაღალი შეფასება საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული სპეციალისტისა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სსრ კავშირის ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების კოლექტივებს.

მომავალი სპეციალისტის გზა აბიტურიენტობიდან იწყება. მაშასადამე, კარგი სპეციალისტის მომზადება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვის მიიღებ ინსტიტუტში.

როგორც ყველა უმაღლეს სასწავლებელს, ფიზკულტურის ინსტიტუტსაც თავისი სპეციფიკური მოთხოვნები აქვს აბიტურიენტების მიმართ. ამ ინსტიტუტში შემსვლელი მისაღებ გამოცდებს აბარებს როგორც ზოგად-თეორიულ (მშობლიური ენა, ფიზიკა, ქიმია), ისე სპეციალურ სპორტულ დისციპლინებში. აბიტურიენტს პირველი გამოცდა არჩეულ სახეობაში აქვს და ეს გასაგებიცაა: თუ სპორტსმენი ამ სახეობაში მინიმალურ მოთხოვნებს ვერ ასრულებს, ესე იგი, ის ინსტიტუტისთვის მზად არ არის.

წლეულს გარკვეული სიახლენია შეტანილი I კურსის დაკომპლექტებაში. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტულ ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი (1973 წელს— 80, 1974 წელს — 100, 1975 წელს — 150). ამან საშუალება მოგვცა კონტინგენტი რაციონალურად გაგვენაწილებინა და დაგვეკმაყოფილებინა მოთხოვნები სპორტის ძირითად სახეობებში. გარდა ამისა, სპორტულ ფაკულტეტზე მიღების პირობები საუკეთესო სპორტსმენების შერჩევის მეტ საშუალებას გვაძლევს. სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ ინსტიტუტში სწავლის ოთხი წლის მანძილზე სტუდენტს მაქსიმალური პირობები ექმნება სწავლისა და სპორტული ცხოვრების უკეთ შეთავსებისთვის.

მეორე სიახლეა ის, რომ სპორტულ მომზადებაში მისაღები გამოცდების პროგრამამ უფლება მოგვცა სპორტის დამსახურებული ოსტატები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები და სპორტის ოსტატები პრაქტიკული ნორმატივების ჩაბარებისგან გაგვეთავისუფლებინა, გასაუბრებით შეგვეცვალა იგი.

მისაღები გამოცდები სათანადო ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა. სპორტის ცალკეულ სახეობებში კონკურსი საკმაოდ დიდი იყო. მაგალითად, ფეხბურთის სპეციალობით 10 ადგილზე 81 აბიტურიენტი აბარებდა, თავისუფალი ჭიდაობის სპეციალობით 10 ადგილზე — 54, კალათბურთის სპეციალობით 20 ადგილზე — 61...

მისაღები გამოცდების საბოლოო შედეგები ასეთია: დღის განყოფილების პედაგოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა 100 კაცი, სპორტულ ფაკულტეტზე — 150, დაუსწრებელზე — 97.

ჩარიცხულთა სპორტული კვალიფიკაცია ასეთია: დღის განყოფილებაზე ჩაირიცხა 1 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 86 სპორტის ოსტატი, 55 ოსტატობის კანდიდატი, 116 პირველთანრიგოსანი, 88 მეორეთანრიგოსანი, 8 მესამეთანრიგოსანი და 1 მოზარდთა პირველი თანრიგის სპორტსმენი.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე ჩაირიცხა 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 88 სპორტის ოსტატი, 7 ოსტატობის კანდიდატი, 28 პირველთანრიგოსანი და 6 მესამეთანრიგოსანი.

მოყვანილი ციფრები ნათლად მეტყველებს ინსტიტუტის ახალი შევსების საკმაოდ მაღალ სპორტულ კვალიფიკაციაზე. ჩარიცხულთა შორის არიან: კალათბურთელები ი. დერიუგინი და ნ. ჭეიშვილი, ველოსიპედისტები ი. კასრელიშვილი და ნ. ივანოვი, მოჭიდავეები თ. ლექავა, მ. მორჩილაძე, ვ. მარშანია, ტ. აბსავა, ფეხბურთელები ვ. დარასელია, ა. ჯაოიანი, დ. დარჯანია, ჩოგბურთელები გ. ელერდაშვილი, ა. ჯაფარიძე, ნიჩბოსნები ე. კვენეტაძე, თ. აზარაშვილი, რ. გაბელაია, მსროლელები ი. სკრინიკოვი, ე. ლიაშენკო, ტ. ლაზარიანი, ხუთჭიდელი მ. ნოვოსელცოვი, მოცურავეები კ. გუმბა, ლ. სუინა, ს. ნედელკო, წყალში მხტომელი ს. ნიკოლოტოვა, მოთხილამურე ვ. ჭიჩოევი, ხელბურთელები ტ. ბერეჟნაია, მ. ხარაიშვილი, ძალოსანი დ. გაბაძე, მძლეოსნები გ. ხალიბინი, ო. ლახმინი...

აქვე გვინდა მადლობით მოვიხსენიოთ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, რომელმაც ფიზკულტურის ინსტიტუტში სასწავლებლად მოავლინა ამ სისტემაში აღზრდილი შესანიშნავი ახალგაზრდა სპორტსმენები: მოკრივე გ. მუხიგულაშვილი, მსროლელი პ. ჩაჩანიძე, ძალოსანი გ. კაპანაძე, მოჭიდავე თ. გუშარაშვილი, ველოსიპედისტები ი. კასრელიშვილი და ნ. ივანოვი და სხვ. როგორც ჩანს, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი და „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო მთელი სერიოზულობით ეკიდებიან ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. მათი აღზრდილების გარკვეული ნაწილი დიდ სპორტსაც ეზიარა და ფიზკულტურის ინსტიტუტში შესასვლელად ყოველმხრივ მოემზადა.

ასევე მადლობას იმსახურებენ საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპორტული სკოლა, განათლების სამინისტროს ბავშვთა ტანვარჯიშის სკოლა, გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატი.

კონკურსი საკმაოდ მძაფრი იყო აბიტურიენტთა სპორტული კვალიფიკაციის დონის მხრივაც. გამოცდებს აბარებდა 8 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 72 სპორტის ოსტატი, 110 ოსტატობის კანდიდატი, 800 პირველთანრიგოსანი, მაგრამ ყველა ვერ ჩაირიცხა და ამას თავისი მიზეზები აქვს. საქმე ისაა, რომ აბიტურიენტთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ **სპორტულად მოუმზადებელი მოდის გამოცდებზე.** ეს შედარებით მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებზე ითქმის. არჩეულ სახეობებში საგამოცდო კომისიების წინაშე წარდგა 787 აბიტურიენტი, ამათგან შეფასება „5" მხოლოდ 279-მა დაიმსახურა, 250-მა კი გამოცდა საერთოდ ვერ ჩააბარა, ესე იგი მიიღო შეფასება „2".

ზოგიერთ მშობელს გაუკვირდა, როცა შეიტყო, რომ მისმა შვილმა სპორტის არჩეულ სახეობაში გამოცდა ვერ ჩააბარა. მით უმეტეს, რომ მათ შორის ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნებიც იყვნენ. ერთი შეხედვით ეს მართლაც თითქოს პარადოქსია, მაგრამ, როცა დეტალურად ავუხსენით, თუ როგორ წარიმართა გამოცდა, რა მოეთხოვებოდათ ახალგაზრდებს, რა ვერ შეასრულეს, მშობელთა და აბიტურიენტთა დიდი უმრავლესობა პასუხით დაკმაყოფილდა.

აქ თითქოს შეიძლებოდა ამ საკითხის ირგვლივ აღარ გაგვეგრძელებინა საუბარი, მაგრამ ვფიქრობთ, საჭიროა ზოგიერთი განმარტება, რათა მომავალში არც აბიტურიენტებმა და არც მათმა მწვრთნელ-პედაგოგებმა შეცდომა აღარ დაუშვან და ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად უკეთ მოემზადონ.

მაინც რაშია საქმე, რატომ ხდება, რომ აბიტურიენტი, რომელსაც საკმაოდ მაღალი თანრიგი აქვს, ვერ აბარებს გამოცდას მის მიერვე არჩეულ და ალბათ საყვარელ სპორტის სახეობაში? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისაღები გამოცდების პროგრამა სპორტულ მომზადებაში შედგება სხვადასხვა ნორმატივებისგან, რაც გაანგარიშებულია კარგ საერთო ფიზიკურ და სპორტულ-ტექნიკურ მომზადებაზე.

მეტწილად გამოცდას ვერ აბარებენ ის აბიტურიენტები, რომელთაც თანრიგი მიღებული აქვთ მხოლოდ შეჯიბრებებში მოპოვებული შედეგების მიხედვით, რასაც საკავშირო ერთიანი კლასიფიკაცია ითვალისწინებს, როგორც ჩანს, ხანგრძლივი წვრთნა მათ იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე აქვთ ჩატარებული, ან ვარჯიში დაბალ მეთოდურ დონეზე მიმდინარეობდა, მაგალითად, მოჭიდავეს ზოგჯერ შესწავლილი აქვს ერთი ან ორი ფანდი და ამის ხარჯზე აღწევს თანრიგის მისანიჭებლად საჭირო გამარჯვებებს, საგამოცდო ლეიბზე კი მას სთხოვენ არა მარტო ჭიდაობას, არამედ მოჭიდავისთვის ისეთი აუცილებელი ნორმატივების შესრულებასაც, როგორიცაა გადაგორება ხიდურზე, შემორბენა ხიდურზე, ხიდურზე დადგომა, ხიდურიდან გაქცევა და კიდევ სხვა სპეციალური ვარჯიშები. მოჭიდავეს, რომელსაც სისტემატურად არ უვარჯიშია, არ უზრუნია ტექნიკური და ფიზიკური მომზადების სრულყოფისთვის, ძალიან უჭირს გამოცდის ჩაბარება.

ანალოგიური მდგომარეობაა სპორტის სხვა სახეობებშიც. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში თანრიგს შედარებით იოლად იღებენ; თანრიგის მისანიჭებლად ფორმალურად ყველაფერი რიგზეა, ხოლო საფუძველი — ფიზიკური და ტექნიკური მომზადება — სათანადო დონეზე არ დგას.

ზოგიერთ აბიტურიენტს საერთო ფიზიკური მომზადების დონეც იმდენად დაბალი აქვს, რომ, თუმცა არჩეულ სახეობაში დამაკმაყოფილებელ შეფასებას ღებულობს, მშდ კომპლექსის დონეზე ელემენტარულ ნორმატივებს ვერ აბარებს. აი, ფაქტიც: 537 აბიტურიენტიდან მეორე გამოცდაზე საერთო ფიზიკურ მომზადებაში 104-მა „2" მიიღო.

სამწუხაროდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გასაუბრების შედეგად არ დაუშვეს გამოცდაზე, თუმცა სპორტული თანრიგი ყველას გაფორმებული ჰქონდა.

ჩვენი წერილის მიზანია, რომ სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა სწორად გაიგონ ინსტიტუტის დანიშნულება, შეეცადონ რაც შეიძლება მომზადებული სპორტული ახალგაზრდობა შეარჩიონ და მათ გაუწიონ რეკომენდაცია, მათ არ უნდა დაუშვან სპორტული თანრიგის დამადასტურებელი საბუთების უსაფუძვლოდ გაცემა ან ასეთი საბუთების არასაიმედოდ შენახვა, რაც ზოგიერთ უღირს ახალგაზრდას საშუალებას აძლევს ისარგებლოს ამგვარი უყურადღებობით და მისივე ხელით შევსებული „საბუთი" წარუდგინოს მიმღებ კომისიას.

ვიმედოვნებთ, რომ ორგანიზაციები და ცალკეული პირები, ვისაც ეს ეხება, სათანადო დასკვნას გააკეთებენ და კიდევ უფრო შეგვიწყობენ ხელს ინსტიტუტისთვის ნიჭიერი სპორტსმენების შერჩევაში.

თვით ინსტიტუტში — დღითიდღე უმჯობესდება სასწავლო პროცესი, ინერგება ახალი მეთოდები სწავლასა და წვრთნაში. სასწავლო აუდიტორიები და სპორტული ბაზები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობითა და ინვენტარით, სასწავლო წლის ბოლომდე მოხდება ინსტიტუტის ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია, გაფართოვდება და თანამედროვე დანადგარებით აღიჭურვება სასროლო ტირი, მეათე ხუთწლედში მწყობრში ჩადგება სამდარბაზიანი სპორტული კორპუსი და საცურაო აუზი.

ინსტიტუტის კარი მუდამ ღიაა ნიჭიერი და შრომისმოყვარე სპორტსმენებისთვის, მათთვის, ვისაც სურს დაეუფლოს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მუშაობის მეთოდებს, მიაღწიოს არჩეულ სახეობაში უმაღლეს მწვერვალებს, მიუძღვნას თავისი შრომა, ცოდნა და ენერგია უკეთილშობილეს პროფესიის — ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და გახანგრძლივების საქმეს.

რ. კერესელიძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პრორექტორი.

მთავარ პრობლემას მოცილებული

რესპუბლიკის კალათბურთელებს წლეულს ორჯერ მოუხდათ ურთიერთობის გარკვევა უმაღლეს დონეზე. პირველად ეს მოხდა საქართველოს სპარტაკიადის დღეებში, მეორედ კი ამას წინათ სოხუმში, სადაც გათამაშდა ქალთა და ვაჟთა გუნდების რესპუბლიკური ჩემპიონატები.

ორიოდე სიტყვა ამ ტურნირების მნიშვნელობაზე. ყოველი რესპუბლიკური ჩემპიონატის საბოლოო მიზანია შეამოწმოს წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ხარისხი და დასვას უტყუარი დიაგნოზი. პაციენტი ამ შემთხვევაში თვით კალათბურთია, უფრო ზუსტად კი ის ორგანიზაციები, რომლებიც ასე თუ ისე აგებენ პასუხს სპორტის ამ სახეობის მდგომარეობისთვის, მისი ავ-კარგისა და მომავლისთვის.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ კონკრეტულ მიზანსა და საქართველოში კალათბურთის განვითარების გლობალურ პრობლემას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ერთი უსათუოდ მეორის ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს. როცა რესპუბლიკური ჩემპიონატის ხარისხსა და კალათბურთის უმთავრეს ამოცანებს შორის ჰარმონია არსებობს, სარგებლობაც მეტია და პრობლემათა გადაჭრის გზაც უფრო რეალურად ჩანს.

მაგრამ, სამწუხაროდ, კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, ისევე როგორც სხვა ამ სახის ტურნირები, მეტწილად თვითმიზანია, კალენდარული ღონისძიება, რომელიც საერთო მდგომარეობის სურათს იძლევა, მაგრამ პრობლემის ნაწილობრივი გადაჭრის გზებსაც კი არ სახავს.

აბა გავიხსენოთ, საქართველოს რომელმა ჩემპიონატმა მისცა ცოტა თუ ბევრად ღირსეული შევსება ჩვენს კალათბურთს, ვინ მოვიდა დიდ სპორტში ამ ტურნირებიდან? ფაქტიურად არავინ ან მხოლოდ რამდენიმე კალათბურთელი.

ამ პოზიციებიდან თუ მივუდგებით სოხუმში ახლახან ჩატარებულ ტურნირს, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ არც იგი იყო გამონაკლისი. დიდი კალათბურთი რამდენადმე სრულფასოვან შევსებას არსებული გუნდებიდან ჯერ არ უნდა ელოდეს.

ისე კი, საშუალო დონის კალათბურთის კვალობაზე ჩემპიონატი საინტერესოდ ჩატარდა და ბევრი მღელვარე წუთი განაცდევინა გულშემატკივრებს.

ვაჟთა შორის ჩემპიონი შეიცვალა — საქართველოს კალათბურთის ისტორიაში ეს წოდება პირველად მოიხვეჭა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო ჯერ ჯგუფურ, მერე კი ფინალურ ტურნირში. რესპუბლიკის ახალმა ჩემპიონმა დაამარცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (67:59), სოხუმისა (77:67) და ქუთაისის (101:64) კოლექტივები. მერე მანვე უდანაკარგოდ განვლო ასპარეზობის ფინალური სტადია, სადაც მოუგო ბათუმის (73:57) და თბილისის უნივერსიტეტის (66:65) წარმომადგენლებს.

ამ ერთადერთმა წაგებამ უნივერსიტეტის გუნდი II ადგილზე დატოვა. III საპრიზო ადგილი სოხუმის ნაკრებს ხვდა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა (პირველი კოლექტივი) მოიგეს ქალთა ჩემპიონატიც. აქ გამარჯვებულის უპირატესობა აშკარა იყო. ჩემპიონმა თანამიმდევრულად დაამარცხა სოხუმის (72:48), უნივერსიტეტის (72:60), გორის (74:66), თბილისის განათლების განყოფილების (63:48) გუნდები და ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე ნაკრები (37:28). II ადგილზე ერთი წაგებით გავიდნენ სოხუმის წარმომადგენლები. III ადგილი წილად ხვდა თბილისის განათლების განყოფილების გუნდს.

გთავაზობთ მომდევნო ადგილებზე გასული გუნდების სიას. **ვაჟები:** 4. ბათუმი, 5. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 6. ქუთაისი, 7. თბილისის „დინამო" (ახალგაზრდული); **ქალები:** 4. ფიზკულტურის ინსტიტუტი II, 5. უნივერსიტეტი, 6. რუსთავი, 7. ბათუმი, 8. გორი.

ნ. გუგუშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

19
9
20
10
8
5
6
7
СКИФ

* * *

სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები — ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები. ზემოთ — ქალთა გუნდი. სხედან: ს. რილოვა, მ. მოსულიშვილი, თ. მათიაშვილი, გ. დიასამიძე, გ. გაბოიანცი. დგანან: მ. მიქელაძე, ა. ჯოხაძე, დ. მიმინოშვილი, ვ. ელოევა, ი. ბაგრატიონი და მწვრთნელი კ. ბეთანელი; ქვევით — ვაჟთა გუნდი. სხედან: თ. ჯაშიაშვილი, ნ. მარკოიშვილი, მწვრთნელი ი. მირიანაშვილი, ა. შავოტინი, ნ. ჭეიშვილი; დგანან: შ. იაქაშვილი, ა. სანიკიძე, ი. ნარიმანიძე, ო. ხმელიძე, რ. გელოვანი, დ. მშვილდაძე.

„ლელოს" წერილის კვალდაკვალ

SOS

ამ სათაურით „ლელოს" 25 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ახმეტის რაიონის სოფელ ქორეთის ახალგაზრდების გულისტკივილზე, რომლებისთვისაც იქაური მეურნეობის დირექციას ხელი არ შეუწყვია.

როგორც საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის მდივანი ზ. ბატიაშვილი რედაქციას ატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა წლეულს ქორეთელი ახალგაზრდებისთვის შეიძენს საჭირო რაოდენობის სპორტულ ინვენტარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '75

მინდორი ნორჩებს დაეთმოთ

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე დაიწყო საქართველოს მოსწავლეთა XXVII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეჯიბრება.

ფინალურ გათამაშებას წინ უსწრებდა ზონალური შეჯიბრებები, რომელთა შესახებაც „ლელოში" გამოქვეყნებული იყო ცნობა. ახლახან დამთავრდა ნახევარფინალური ტურნირები გორსა და ოჩამჩირეში. გორში გამოდიოდნენ ადგილობრივი, რუსთავის, ლაგოდეხის, ხაშურის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გუნდები. წარმატება აქ წილად ხვდათ გორელ და ქუთაისელ ფეხბურთელებს. ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის, სამტრედიის, აფხაზეთისა და აჭარის ნაკრები გუნდების შეჯიბრება ოჩამჩირეში აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენელთა წარმატებით დამთავრდა.

ფინალური ასპარეზობა დიდ ინტერესს იწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის, მით უმეტეს, რომ მინდორზე ვიხილავთ ბევრ ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშეს.

ი. ბოჟორაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

გთავაზობთ ფინალური ტურნირის კალენდარს:

13 ნოემბერი. თბილისი — აჭარა, ქუთაისი — გორი.

14 ნოემბერი. აჭარა — ქუთაისი, აფხაზეთი — თბილისი.

15 ნოემბერი. ქუთაისი — აფხაზეთი, გორი — აჭარა.

16 ნოემბერი. აფხაზეთი — გორი, თბილისი — ქუთაისი.

მატჩების დასაწყისი 12 ს. და 13 ს. 30 წთ. წვიმის შემთხვევაში თამაშები შედგება „ლოკომოტივის" საწვრთნელ ბაზაზე, დიღომში.

ი. ჯინჭარაძის სახელი უკვდავია

ბათუმი, 11 ნოემბერი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოზარდ ფეხბურთელთა საქალაქთაშორისო ტურნირი.

გათამაშება ქულათა თანაბარი რაოდენობით (5-5) დაამთავრეს ბათუმის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და ტაშკენტის გუნდებმა. I ადგილის ბედი გადაწყვიტა გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობამ, რომელიც ბათუმელებს (მწვრთნელი ა. კვაჭაძე) უკეთესი ჰქონდათ. ტაშკენტელებს (მწვრთნელი ი. ტაშმუხამედოვი) II ადგილი ხვდათ.

III ადგილზე გავიდნენ ბათუმის ნორჩი დინამოელები (მწვრთნელები ლ. ვერულიძე და ვ. მეავია).

საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებსა და საუკეთესო მოთამაშეებს პრიზები და სიგელები გადაეცათ.

ი. კუსიდი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მეკარის ხსოვნისა...

გორში ტრადიციად იქცა ადგილობრივი „დილისა" და თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარის თამაზ სტეფანიას სახელობის თასის გათამაშება მოსწავლე ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ახლანდელი ტურნირი წარმატებით განვლეს და ფინალში გავიდნენ მე-8 და მე-7 სკოლების გუნდები. მერვესკოლელებმა გადამწყვეტი შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:0 და თასის მფლობელები გახდნენ.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთა პრიზები გადაეცათ შ. ქერდიყოშვილს, პ. ლაზარაშვილს, მ. საბანაშვილს და მ. ხუციშვილს.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

„გურიამ" მოიგო — 1:0

ლატვიის დედაქალაქში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ნახევარფინალური ტურნირი, რომელმაც უნდა გამოავლინოს I ლიგაში გადასვლის პრეტენდენტთა ფინალური გათამაშების ორი მონაწილე.

გუშინწინ გამართულ III ტურში ლანჩხუთის „გურიამ" ანგარიშით 1:0 დაამარცხა ბლაგოვეშჩენსკის „ამური", რიგის „დაუგავამ" და ჟიტომირის „ავტომობილისტმა" ფრედ ითამაშეს — 0:0, ხოლო ვლადიმირის „ტორპედომ" მოუგო ნიჟნი ტაგილის „ურალეცს" — 3:1.

სადღეისოდ აქ ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა"	3	2	1	0	5—1	5
„გურია"	3	1	2	0	2—1	4
„ავტომობ."	3	1	2	0	2—1	4
„ტორპედო"	3	1	1	1	3—3	3
„ამური"	3	1	0	2	2—3	2
„ურალეცი"	3	0	0	3	2—7	0

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● ასკ (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:2. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

ანგარიში ფოთელმა სიჭინავამ გახსნა, ხოლო თანაფარდობა აღადგინა ოსაძემ. შესვენების შემდეგ მეტოქეებმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და თანაბრად გაიყვეს ქულები.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:1. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

სტუდენტები დასაწყისშივე დაწინაურდნენ (მუმლაძე, მეგრელაძე). შემდეგ ცხაკაიელმა ჯოჯუამ გაქვითა ერთი ბურთი, მაგრამ სანაძემ კვლავ აღადგინა უწინდელი განსხვავება.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:4. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

მატჩის ანგარიში კურიოზულად წარიმართა. ჯერ სამი ბურთით დაწინაურდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (დარახველიძე, ივანოვი, მეგრელაძე), მეორე ტაიმში კი უპირატესობა მთლიანად პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელთა მხარეს გადავიდა და მატჩიც მათ მოიგეს (ვალიშვილი, კვირკველია, კვარაცხელია, წიკლაური).

● „კახეთი" (თელავი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● უნივერსიტეტი (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 3:2. მსაჯი მ. სიჭინავა (გუდაუთა).

● „დურუჯი" (ყვარელი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

ანგარიში თბილისელმა კვარაცხელიამ გახსნა. ეს გოლი 11-მეტრიანი დარტყმით გაქვითა ვაზაშვილმა, ხოლო ტალახაძემ ბოლო წუთებზე გამარჯვება მოუტანა ყვარლის გუნდს.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

აუტსაიდერთა მატჩი ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა, თუმცა წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია.

● „იმერეთი" (წულუკიძე) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

სანოძის მიერ ზუსტად დარტყმულმა პენალტმა გამარჯვება მოუტანა წულუკიძელებს.

● „ვარძია" (ასპინძა) — „განთიადი" (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეშახტე" (ტყიბული) 3:0. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

მასპინძლებმა თავიანთი უპირატესობის რეალიზება შეძლეს შესვენების შემდეგ. ბურთები გაიტანეს გაგუამ (2) და ჩხეტიამ.

● ასკ (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

ბურთები გაიტანეს ლევიძემ, გაზაევმა და ოსაძემ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მაღარ."	39	28	8	3	81—23	64
„დინამო"	38	27	7	4	82—51	61
„სალხინო"	38	21	9	8	75—39	51
პოლ. ინსტ.	39	15	12	12	73—54	42
„იმერეთი"	38	16	10	12	51—47	42
„მეშახტე"	40	15	10	14	53—49	40
„კახეთი"	38	13	11	14	47—34	37
ფიზკ. ინსტ.	34	14	9	11	64—52	37
„ივერია"	39	13	11	15	39—42	37
„ეგრისი"	39	12	13	14	48—62	37
„კოლხ." ფ.	38	12	12	14	51—45	36
უნივერს.	38	13	19	15	45—61	36
„ქართლი"	39	13	9	17	61—67	35
„დურუჯი"	38	11	12	15	35—58	34
„ამირანი"	38	11	11	16	33—54	33
„განთიადი"	38	9	14	15	37—47	32
„ვარძია"	38	11	10	17	46—65	32
„მეტალურ."	37	11	9	17	38—47	31
„შუქურა"	38	7	17	14	39—54	31
ასკ თბ.	34	11	7	16	53—49	29
„კოლხ." ხ.	38	10	8	20	42—67	28
„ლოკომ."	36	9	9	18	30—56	27

II ჯგუფი

გამოტოვებული მატჩი ბოლნისის „მადნეულსა" და გურჯაანის „ალაზანს" შორის ბოლნისელებმა მოიგეს — 4:0. „მადნეულმა" გამარჯვება მოიპოვა II ჯგუფის I ზონაში და გაისად რესპუბლიკური გათამაშების I ჯგუფში ითამაშებს.

ზონალური პირველობა

„ქიმიკოსი" (წულუკიძე) — „ავტომობილისტი" (ჩაქვი) 2:2, „მეშაქრე" (აგარა) — „ავიატორი" (ქუთაისი) 3:0.

საჯარიმო დარტყმა

მსაჯების მიმართ უდიერი საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს რ. თოლორდაია („ამირანი", ოჩამჩირე) და ა. ლაბაძე (ასკ, თბილისი).

გაფრთხილებული არიან შემდეგი ფეხბურთელები: თ. გვახალია (ხობის „კოლხეთი"), ბ. სანოძე (წულუკიძის „კოლმეურნე"), ნ. გურასპაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მ. ლაკერბაია (ოჩამჩირის „ამირანი"), ბ. ვაშაკიძე (წულუკიძის „ქიმიკოსი"), კ. გაბრიელიანი (თბილისის ასკ).

ამას წინათ სამტრედიის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის პირველობა ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის „ლოკომოტივის" რაისაბჭოს, მეტროპოლიტენის, ერევნისა და სამტრედიის რაისაბჭოების გუნდები.

შეჯიბრება საუკეთესოდ ჩაატარეს სამტრედიელებმა, რომლებმაც დაამარცხეს ყველა მეტოქე და დამსახურებულად მოიპოვეს პირველობა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისის მეტროპოლიტენისა და რაისაბჭოს გუნდები.

* * *

სურათზე: ტურნირის ერთ-ერთი მატჩის მომენტი.

ა. სირაძის ტექსტი და ფოტო.

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

ერკოვიჩმა ბევრი დააინტერესა

იუგოსლავიის კლუბ „ჰაიდუკს" საგონებელში აგდებს... თავისი ცენტრალური თავდამსხმელის ერკოვიჩის დიდი პოპულარობა. იუგოსლაველებს ერკოვიჩის დათმობის შესახებ ოფიციალური წინადადებით მიმართავენ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური" (რომელსაც არც ერთი უცხოელი ფეხბურთელი არ ჰყავს) და გლაზგოს „სელტიკი". ჯერჯერობით სპლიტის კლუბი უცხოელებს იმით იგერიებს, რომ ერკოვიჩს ბევრი უკლია 28 წლამდე, იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაცია კი მხოლოდ ამ ასაკის შესრულების შემდეგ აძლევს მოთამაშეებს უცხოეთის კლუბებში გადასვლის უფლებას.

საუდის არაბეთში...

საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაცია კარგა ხანს ეძებდა ისეთ მწვრთნელს, რომელიც მას მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში წარმატების გარკვეულ გარანტიას მისცემდა.

დიდი თანხა აღუთქვეს ჯერ ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს უინთერბოთომს, შემდეგ მის მემკვიდრეს ამავე ნაკრებში რამსეის, მაგრამ უარი მიიღეს.

ამას წინათ გამოცხადდა, რომ საუდის არაბეთის ნაკრებს უხელმძღვანელებს ფ. პუშკაში.

ძმას დაესხა თავს

ამას წინათ ინგლისელი მიმომხილველები წერდნენ ლივერპულის „ევერტონის" განთქმულ თავდამსხმელ ბობ ლეჩფორდის შესახებ, რომელიც „ბირმინგემ სიტისთან" მატჩში მეკარეზე თავდასხმისთვის მინდვრიდან გააძევეს.

მერე რა მოხდა? — გაიკვირვებს მკითხველი, ასეთი რამ ფეხბურთში ხომ ხშირად ხდება!

საქმე ისაა, რომ „ბირმინგემ სიტის" მეკარე ლეჩფორდის ღვიძლი ძმა გახლავთ.

ნიკოლოზ გარანკინის ოქრო და ბრინჯაო

ამას წინათ ერევანში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში ყრუ-მუნჯთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 14 გუნდი.

გუნდური I ადგილი და ტურნირის მთავარი პრიზი მოიგო რსფსრ-ს ნაკრებმა. მეორე იყო უკრაინის კოლექტივი, მესამე — ლატვიის გუნდი.

საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. არუთინოვი), რომელიც ძირითადად „სპარტაკის" ბაზაზე შეიქმნა, VI ადგილი დაიკავა. ეს უდავოდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან წინა შეჯიბრებაში იგი XII ადგილზე იყო.

კარგად იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ნიკოლოზ გარანკინმა. მან პირად პირველობში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო ვაჟთა წყვილებში ლვოველ ი. კრილოვთან ერთად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. აღსანიშნავია, რომ გარანკინმა წინა ჩემპიონატზე III ადგილი დაიკავა ერთეულთა თანრიგში.

ჩვენი ქალებიდან საუკეთესო იყო ნათელა არახამია, რომელიც VI ადგილს ხვდა.

ქალთა ასპარეზობის I ადგილზე გავიდა მირონოვა (დნეპროპეტროვსკი), ვაჟებში ჩემპიონი გახდა ლვოველი ვასილიევი. ქალთა წყვილებში საუკეთესო იყო მირონოვა — გონჩაროვას (ლვოვი) დუეტი. ვაჟთა წყვილების შესახებ უკვე მოგახსენეთ. შერეულ წყვილთა შორის პირველობა არავის დაუთმეს ლვოველმა სპორტსმენებმა კრილოვმა და კურკოვამ.

ც. ფიქრიალაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ერევანი.

სურათზე: ნ. გარანკინი და მისი თანამეწყვილე ი. კრილოვი გამარჯვების შემდეგ.

ელექტროაპარატელები ზუსტად ისროდნენ

კასპში ჩატარდა რაიონის გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქარხანა „კასპიელექტროაპარატის", ცემენტის ქარხნის, რაიკოოპერატივის, მეტეხის სამშენ მასალათა კომბინატის, კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის, დოესის, ქვემო ჭალის, ნოსტეს, ყარალეთის, ზემო ხანდაკის კოლმეურნეობების, კავთისხევის, ქვათახევის, ქსნის, კოდის წყაროსა და თეძმის საბჭოთა მეურნეობების გუნდები.

ვაჟთა შორის რაიონის ჩემპიონი გახდა „კასპიელექტროაპარატის" ნაკრები. II ადგილი დაიკავა ცემენტის ქარხნის გუნდმა, III — ინდუსტრიული ტექნიკუმის კოლექტივმა.

ქალთა შორისაც „კასპიელექტროაპარატის" წარმომადგენლებმა ისახელეს თავი. II ადგილი მოიპოვა ქვემო ჭალის კოლმეურნეობის ნაკრებმა, — III ცემენტის ქარხნის გუნდმა.

ლ. ელისაბედაშვილი.
(ჩვენი კორ.).

კასპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინულის მოედნებზე

გუშინწინ პრაღაში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგურმა საერთაშორისო მატჩმა. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უაღრესად მწვავე გამოდგა და პირველი ორი პერიოდი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა.

ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა შადრინმა, ერთი წუთის შემდეგ კი მასპინძელთა ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელმა პოუზარმა თანაფარდობა აღადგინა. შესვენებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, როცა პეტროვმა ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და საუცხოოდ მიაწოდა შაიბა მალცევს, რომელმაც არ დააყოვნა — 2:1.

მეორე პერიოდის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, რომ მახაჩმა თითქმის ცისფერი ხაზიდან უძლიერესი დარტყმით კვლავ გაათანასწორა ანგარიში. მალე სტუმრებს ისევ დაწინაურების საშუალება მიეცათ: მახაჩმა მეკარის პირისპირ გარღვევაზე გასული მალცევი მოცელა და მსაჯებმა შჩეპეკმა (პოლონეთი) და სეპონენმა (ფინეთი) ბულიტი დანიშნეს. მაგრამ პეტროვმა ვერ შეძლო „პენალტის" გამოყენება.

მერე შადრინმა კიდევ ერთხელ აიღო მასპინძელთა კარი, მაგრამ მეორე შესვენებას ბევრი არაფერი უკლდა, როცა ანგარიში ისევ გათანაბრდა — 3:3. შაიბა გაიტანა ბ. შტიასტნიმ.

ალექსანდროვისა და ვიკულოვის ნაცვლად საბჭოთა მწვრთნელებმა ძლუკტოვთან ერთად გამოიყვანეს ბალდერისი და ა. გოლიკოვი (ეს უკანასკნელი სსრ კავშირის მეორე ნაკრებში ორშაბათს კარგად გამოსვლის შემდეგ მხოლოდ მატჩის დღეს, დილით ადრე ჩაფრინდა პრაღაში).

მესამე პერიოდი საბჭოთა ჰოკეისტების უპირატესობით ჩატარდა. ჯერ მიხაილოვმა აიღო მასპინძელთა კარი, მერე კი შადრინმა კიდევ ერთი შაიბა გაიტანა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარში. ამრიგად, გაიმარჯვა სსრ კავშირის გუნდმა — 5:3.

მასპინძელთა შორის ყველაზე ძლიერად ითამაშა მეკარე ჰოლეჩეკმა, ხოლო საბჭოთა კოლექტივში საუკეთესო იყო შადრინის ხუთეული.

კარპოვსაც არ შეეპუა

ლენინგრადში პიონერთა სასახლეების საკავშირო ტურნირში ნორჩ მოჭადრაკეებსა და მათს კაპიტნებს საინტერესო პაექრობა გაუჩაღებიათ. დიდოსტატები ერთდროული თამაშის სეანსებში დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან.

— ბავშვები დიდი შეუპოვრობითა და გამომგონებლობით თამაშობენ, — ამბობს შეჯიბრების მთავარი მსაჯი, დიდოსტატი ი. ბონდარევსკი.

ნორჩმა ლენინგრადელმა მეტოქეებმა 2,5 ქულა „წაართვეს" თვით მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვს (მას მოუგეს ი. რაიჟინმა და ა. კრილოვმა).

საინტერესო შემთხვევა მოხდა კუიბიშეველ მოჭადრაკეებთან კარპოვის ერთდროული თამაშის სეანსის დროს. ჩემპიონმა ექვსი მეტოქე დაამარცხა, მაგრამ მეშვიდე — მეათეკლასელი ა. ოსმინინი, რომელიც ბოლოს მასთან პირისპირ დარჩა, თავგამოდებით თამაშობდა. თამაშის დრო რომ ამოიწურა, გუნდების კაპიტნებმა დაუმთავრებელ პარტიაში ჭაბუკ მოჭადრაკეს წაგება ჩაუთვალეს, რასაც კუიბიშეველთა კაპიტანი, დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკიც დაეთანხმა. მაგრამ ოსმინინმა არ მიიღო ეს განაჩენი. მან ყაიმის მიღწევის გზა აჩვენა. დიდოსტატმა ნორჩ კოლეგას ბოდიში მოუხადა, კარპოვმა კი თქვა, პარტიის შედეგი შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გადაწყვიტოსო. მეორე დღეს ბონდარევსკიმ გამოაცხადა, რომ პარტია ყაიმით დამთავრებულად ჩაითვალა.

6 ტურის შემდეგ კარპოვს 32 ქულა (35-დან) დაუგროვდა. ამდენივე ქულა მოაგროვეს დიდოსტატებმა ვ. კორჩნოიმ და გ. კუზმინმა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვ. სმისლოვს 31 ქულა აქვს.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ ნორჩი მოსკოველები — 44,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ლენინგრადელებს 42,5 ქულა აქვთ, ჩელიაბინსკისა და ვოროშილოვგრადის მოჭადრაკეებს — 37-37.

ს უ რ ა თ ზ ე: ვოროშილოვგრადელთა კაპიტანი, დიდოსტატი გ. კუზმინი ერთდროული თამაშის სეანსის დროს.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

სპორტის მოყვარულთათვის

„როცა სახელოვანი სპორტსმენის, ადამიანისა და მოქალაქის ლევ იაშინის შესახებ იწყებ წერას, მუდამ განსაკუთრებული გრძნობა გიპყრობს. ჩემთვის ეს არის გრძნობა სიხარულისაც და შეშფოთებისაც. სიხარულისა იმიტომ, რომ ლევ იაშინი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, როგორც ადამიანი, რომელმაც პირველად გამომიწოდა დახმარების ხელი და მაღიარა თანასწორად მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელიც 1958 წელს პირველად მოხვდა სსრ კავშირის ნაკრებში...

...ფეხბურთის მეკარე — ესაა ხასიათი, ხასიათი ვაჟკაცური და პატივისცემის ღირსი, სულ ერთია, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ნაკრების კარის დარაჯი იქნება იგი, თუ ქალაქის ან რაიონის პირველობის მონაწილე ქარხნის გუნდისა... მინდვრის მოთამაშეთა მდგომარეობა მუდამ უფრო იოლია. ისინი ათნი არიან. ერთი თუ შეცდება, მეორე მზადაა საშველად. მეკარე ერთია. რაოდენ დიდი ვაჟკაცობის პატრონი უნდა იყოს! მისი ყოველი შეცდომა გუნდს ძალიან ძვირად უჯდება. მეკარე გუნდის უკანასკნელი იმედი და დასაყრდენია..."

ესაა ნაწყვეტი სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. პონედელნიკის ნარკვევიდან, რომელიც გამოქვეყნდა კრებულში **„ოქროს სახელები"** (შემდგენელი ვ. ტრუშკოვი). ამ კრებულში, რომელიც „ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა, ნაამბობია საკავშირო ალკკ საპატიო და „სპორტული წარჩინებისთვის" ოლიმპიურ ჩემპიონთა სამკერდე ნიშნების ლაურეატთა შესახებ. ესენი არიან მოჭიდავე ა. მედვედი, მოთხილამურე ვ. ვედენინი, ტანმოვარჯიშე ლ. ტურიშჩევა, მძლეოსანი ვ. სანეევი, ძალოსანი ვ. ალექსეევი და ბევრი სხვა.

„ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა ეს წიგნებიც:

„ახალი ჰორიზონტები". მწერალ ა. კულეშოვის დოკუმენტური მოთხრობა. მასში ნაამბობია საბჭოთა კავშირის გმირ ვ. ლივენცევის, ამჟამად ბელორუსის სპორტკომიტეტის თავმჯდომარისა და რესპუბლიკის ცნობილი ჩემპიონების შესახებ. წიგნი გამოვიდა სერიით „სპორტისთვის მიძღვნილი გულები".

„ფეხბურთი". სახელმძღვანელო განსაკუთრებით დიდ სამსახურს გაუწევს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც პოპულარული თამაშის საიდუმლოებას დამოუკიდებლად ეუფლებიან. იგი დაწერა ცნობილმა სპეციალისტმა ბ. ცირიკმა.

„მეათე ოლიმპიური კონგრესი". რ. კისელიოვის ამ წიგნში განხილულია ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიადების უმნიშვნელოვანესი პრობლემები საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ და ეკონომიურ ცვლილებათა ფონზე.

[illegible]

ისევ ვილასი?

მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები ყოველწლიურად მონაწილეობენ თავისებურ კონკურსში — მათ სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში დაკავებული ადგილების მიხედვით გარკვეული ქულები ერიცხებათ. ეს ქულები წლის ბოლოს ჯამდება და ასეთი გზით სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელები ვლინდებიან.

ცხადია, ამგვარი „ჩათვლის სისტემა" ერთობ არასრულფასოვანი და არაობიექტურია, მაგრამ უინტერესოც არ გახლავთ.

წლევანდელ კონკურსში მთავარი პრიზი თითქმის უკვე ჯიბეში უდევს შარშანდელ გამარჯვებულს გილერმო ვილასს (არგენტინა) — 790 ქულა. მას 136 ქულით ჩამორჩება ესპანელი მანუელ ორანტესი.

შემდეგ მოდიან: ბიორნ ბორგი (შვეცია) — 520 ქულა, არტურ ეში (აშშ) — 505, ილიე ნასტასე (რუმინეთი) — 435.

(საქ. ინფ.).

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 14 ნოემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ახალი ნომერი

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ყოველკვარტალური ფიზკულტურულ-სპორტული დამატება „მართვეს" ახალი, მესამე ნომერი.

იგი იხსნება წერილით „სექტემბრის ზარი", რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმია მიძღვნილი.

კ. უშინსკის სახელობის პირველი რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი ლ. ჩიქვანაია „მართვეს" კორესპონდენტს უზიარებს თავის მოსაზრებებს სასკოლო ფიზკულტურის ზოგიერთ პრობლემასა და სკოლის დირექტორის პასუხსაგებ მოვალეობაზე.

განყოფილებაში „აწმყო შობილი წარსულისაგან" მკითხველებს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გამოსვლების შესახებ მოუთხრობს სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. რურუა. აქვეა საუბარი სახელოვანი მოჭიდავის სპორტულ გზაზე.

„მართვე" დიდ ადგილს უთმობს ბავშვისთვის ცურვის სწავლების მნიშვნელობას. ამ თემას ეძღვნება სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის თავმჯდომარის ზ. ფირსოვის წერილი „ცურვა ფეხის ადგმამდე".

საინტერესოა და შინაარსობრივად მდიდარი მწერალ რ. თვარაძის მიერ კამათის წესით გამოთქმული აზრები თბილისის ეზოებზე. მკითხველი მას გაეცნობა წერილში „ჩვენი ეზოს ბიჭები".

„მართვე" იძლევა საქმიან რჩევას ახალბედა მძლეოსნებისთვის. ამ თემას ეძღვნება ა. მჭედლიშვილის წერილი „როგორ დავიწყოთ დამოუკიდებელი მეცადინეობა მძლეოსნობაში".

მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატ ნ. შიშნიაშვილის მეთოდურ წერილზე „ხალხური თამაშობანი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებსა და ყოფაში".

მოსწავლეთა ტურიზმი არ არის მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული ძეგლების დათვალიერება — აი, ძირითადი აზრი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატ ა. ციბაძის წერილისა „დედაბუნების დახმარებით". ავტორი საინტერესო რჩევა-დარიგებებს აძლევს ტურიზმის მოყვარულთ...

„მართვე", როგორც მუდამ, მხატვრულად დიდი გემოვნებითაა გაფორმებული. ეს შეეხება არა მარტო ფოტოებსა და ილუსტრაციებს, არამედ გონებამახვილურ ჩანახატებს, რუბრიკებს, სათაურებს...

გამოიწერეთ „მართვე"!

სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ფიზკულტურულ-სპორტული დამატება „მართვე" ერთი წელია გამოდის. დღეს მას ბევრი მხარდამჭერი და მოყვარული ჰყავს. მაგრამ მაინც ზედმეტად არ მიგვაჩნია იმის გახსენება, რომ მიმდინარეობს ხელმოწერა ამ დამატებაზე გაისისთვის. იქნებ რაიმე ტექნიკური მიზეზის გამო რომელიმე მკითხველს უჭირს „მართვეს" გამოწერა. თუ იგი ამ საქმეს თავად ვერ მოაგვარებს, თუმცა ნებისმიერ საფოსტო განყოფილებაში ხელმოწერაზე უარს არავინ ეტყვის, მაშინ სჯობს რედაქციას მიმართოს.

„მართვეს" რედაქციის მისამართია: ჯავახიშვილის ქუჩა № 1. ტელეფონი: 93-19-25.

როგორც მოგეხსენებათ, „მართვე" სამ თვეში ერთხელ გამოდის. ერთი ნომრის ფასი 40 კაპიკია, წლიური ღირებულება კი — 1 მან. 60 კაპ.

ქალებმა იმარჯვეს

სოფია, 11 ნოემბერი. ბულგარეთის დედაქალაქში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროების სპორტული ორგანიზაციების ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრებები.

ქალთა შორის ყველას აჯობეს საბჭოთა დინამოელებმა, რომლებმაც ბოლო მატჩი ადგილობრივ „ლევსკი-სპარტაკს" მოუგეს — 3:0 (15:3, 17:15, 15:11).

ვაჟთა ტურნირში I ადგილი დაიკავა ბუქარესტის „დინამომ". საბჭოთა კოლექტივი IV ადგილზეა.

გაფრენის მშვენიერი გრძნობა

ადამიანი ძველი დროიდან ოცნებობდა ფრენაზე...

კაცმა რომ თქვას, ბატუტზე ხტომაც ხომ ფრენაა, ფრენის ილუზია მაინც...

იქნებ სწორედ ამიტომ სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ბატუტზე ხტომა. აი, ახლა ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდა ქვეყნის I ღია ჩემპიონატი ამ სახეობაში და სარბიელზე შვიდი სახელმწიფოს 102 სპორტსმენი გამოვიდა. იქ იყვნენ ბატუტზე ხტომის საბჭოთა ოსტატებიც.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა — 253,1 ქულა. II ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, ხოლო III — პოლონელთა კოლექტივი.

14 ნოემბერს

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კულტურის სახლში (ბესიკის ქ. № 4) გაიმართება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: „სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადაში საქართველოს დინამოელთა გამოსვლის შედეგები და 1976 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის „დინამოს" სპორტსმენთა მზადების საკითხი" (მომხსენებელი — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გვაზარია).

დასაწყისი 12 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 93-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: [illegible] — 93-97-55, [illegible] — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, [illegible] — 93-97-57, [illegible] — 93-97-51, [illegible] — 93-97-54; მემანქანეები — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომცემლობა — 93-93-84; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12179